

იმკ-ის ინტერპრეტაცია 29

განმარტებითი შენიშვნები - მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმება

წყაროები:

- ფასს 16 – „იჯარა“.
- ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს).
- ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“ (შესწორებული 2003 წელს).
- ბასს 37 - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.
- ბასს 38 - „არამატერიალური აქტივები“ (შესწორებული 2004 წელს).
- ფასიკ 12 - „მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები“.

განსახილველი საკითხი

1. საწარმომ (კონცესიის ოპერატორი) შეიძლება შეთანხმება დადოს სხვა საწარმოსთან (ნებართვის გამცემი) ისეთი მომსახურების გასაწევად, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო წვდომას ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითად ობიექტებზე. ნებართვის გამცემი შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო სექტორის საწარმო სამთავრობო ორგანიზაციის ჩათვლით. მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმების მაგალითებია წყლის მიწოდების და მომსახურების საშუალებები, გზები, ავტომანქანის სადგომები, გვირაბები, ხიდები, აეროპორტები და ტელეკომუნიკაციის ქსელები. შემდეგი შეთანხმებები არ წარმოადგენს მომსახურებაზე კონცესიურ შეთანხმებებს: საწარმო, რომელსაც თავისი შიდა მომსახურების ფუნქციები ხელშეკრულებით გადაცემული აქვს სხვა მხარეზე (მაგალითად, თანამშრომელთა სასადილო, შენობის საექსპლუატაციო მომსახურება და საბუღალტრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციები).
2. მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმება ზოგადად გულისხმობს, რომ კონცესიის პერიოდის მანძილზე ნებართვის გამცემი შემდეგ უფლებებს გადასცემს კონცესიის ოპერატორს:
 - ა) მომსახურების გაწევის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო წვდომას ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითად ობიექტებზე; და
 - ბ) ზოგიერთ შემთხვევაში სპეციფიკური მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების გამოყენების უფლება,
 კონცესიის ოპერატორი კი თავის მხრივ ვალდებულია:
 - გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა გარკვეული ვადებითა და პირობებით, კონცესიის პერიოდის განმავლობაში, და
 - დ) საჭიროების შემთხვევაში, დააბრუნოს კონცესიის პერიოდის ბოლოს, კონცესიის პერიოდის დასაწყისში ან მის განმავლობაში მიღებული/შემძენილი უფლებები.
3. ყველა მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმების ზოგადი მახასიათებელი არის ის, რომ კონცესიის ოპერატორი იღებს როგორც უფლებას, ასევე მოვალეობას საჯარო მომსახურების გაწევის შესახებ.
4. საკითხი მდგომარეობს იმაში, რა ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს კონცესიის ოპერატორისა და კონცესიის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

5. ზოგიერთი ტიპის მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმების გარკვეული ასპექტები და ახსნა-განმარტებები უკვე განხილულია არსებულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (მაგალითად, ბასს 16 გამოიყენება ძირითადი საშუალებების შეძენისთვის, ფასს 16 გამოიყენება აქტივების იჯარით გაცემისას, ხოლო ბასს 38 გამოიყენება არამატერიალური აქტივების შესაძენად). თუმცა, მომსახურებაზე კონცესიურ შეთანხმებას შეიძლება თან ახლდეს განსახორციელებელი ხელშეკრულებები, რომლებიც არაა განხილული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში, გარდა წაგებიანი ხელშეკრულებებისა, რომლებისთვისაც გამოიყენება ბასს 37. ამის გამო, ეს ინტერპრეტაცია განიხილავს მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებისთვის დამატებით ახსნა-განმარტებას.

2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

კონსენსუსი

6. მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმების ყველა ასპექტი განხილულ უნდა იქნას შესაბამისი ახსნა-განმარტებების შენიშვნებში განსაზღვრისას. კონცესიის ოპერატორმა და ნებართვის გამცემმა ყოველ პერიოდში უნდა მოახდინონ შემდეგი საკითხების ახსნა-განმარტება:
- ა) შეთანხმების აღწერა;
 - ბ) შეთანხმების მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სამომავლო ფულადი სახსრების ოდენობაზე, წარმოქმნის ვადებსა და მასთან დაკავშირებულ განსაზღვრულობაზე (მაგალითად, კონცესიის პერიოდი, გადაფასების თარიღები და საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრება გადაფასება და ახალი მოლაპარაკებები);
 - გ) შემდეგი საკითხების ბუნება და ფარგლები (მაგ., რაოდენობა, დროის პერიოდი ან თანხა, საჭიროებისამებრ):
 - (i) სპეციფიკური აქტივების გამოყენების უფლებები;
 - (ii) მომსახურების გაწევის ვალდებულებები, ან უფლებები, რომლებიც მომსახურების გაწევის მოლოდინს წარმოშობს;
 - (iii) ძირითადი საშუალებების მშენებლობის ან შეძენის ვალდებულებები;
 - (iv) კონცესიის პერიოდის ბოლოს სპეციფიკური აქტივის მიღების უფლება ან მიწოდების ვალდებულება;
 - (v) განახლებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები; და
 - (vi) სხვა უფლებები და ვალდებულებები (მაგალითად, კაპიტალური რემონტი); და
 - დ) პერიოდის განმავლობაში შეთანხმებაში მომხდარი ცვლილებები; და
 - ე) როგორ არის კლასიფიცირებული მომსახურებაზე შეთანხმება.
- 6ა. ოპერატორმა უნდა გაამყდნოს ამონაგების თანხა და მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც სამშენებლო მომსახურება გაიცვალა ფინანსურ აქტივზე ან არამატერიალურ აქტივზე.
7. ამ ინტერპრეტაციის მე-6 პუნქტის მიხედვით მოთხოვნილი ახსნა-განმარტებები ინდივიდუალურად უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებისთვის, ან ჯამურად მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმების ყოველი კლასისთვის. კლასი წარმოადგენს ერთნაირი ბუნების მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებების დაჯგუფებას (მაგალითად, გადასახადების შეგროვება გზით სარგებლობისთვის, ტელეკომუნიკაციების ან წყლის მომსახურებისთვის).

კონსენსუსის თარიღი

2001 წლის მაისი.

ძალაში შესვლის თარიღი

ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2001 წლის 31 დეკემბერს.

საწარმომ 6(ე) და 6ა პუნქტებში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2008 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ფასიკ 12-ს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.